ნათია მამალაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

კულტურა, როგორც „რბილი ძალის“ შემადგენელი კომპონენტი

იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ დავინახოთ კულტურის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, უნდა განვმარტოთ თავად „რბილი ძალის“ ფენომენი და ის თუ რა კონტექსტში ხდება კულტურის, როგორც ერთ-ერთი მექანიზმის გამოყენება სხვა სახელწიფოებთან ურთიერთობის დროს. რბილი ძალა – ეს არის ძალაუფლების ერთ-ერთი სახე, რომელიც არ საჭიროებს არანაირ სამხედრო ინტერვენციას, ეკონომიკური სტიმულის გაცემას ან ძალდატანებას. ტერმინი „რბილი ძალა“ ჯოზეფ ნაიმ პირველად გამოიყენა 1990 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, შემდგომ კი 2004 წელს გამოსცა წიგნი სახელწოდებით „რბილი ძალა – მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება“. „რბილი ძალა“ ეს არის „უნარი, მიაღწიო შედეგს არა ძალდატენების ან გადახდის, არამედ დარწმუნების და მიმზიდველობის მეშვეობით“ [1, 5]. რბილი ძალის თეორია ეფუძნება თანამშრომლობას და იდეოლოგიურ-ინტელექტუალურ რესურსებს ანიჭებს უპირატესობას. ნაი აღნიშნავს, რომ აუცილებელია „რბილი ძალის“ რესურსების გაცნობიერება და მუდმივი ინვესტიცია „რბილი ძალის“ მექანიზმების განვითარებაში.

„რბილ ძალას“ ხშირად „მიმზიდველ ძალასაც“ უწოდებენ. მის მიმზიდველობას კი თავის მხრივ სხვადასხვა რანგის ფაქტორები და მახასიათებლები განაპირობებს. უმთავრესად ეს არის ღირებულებათა სისტემების თანხვედრა. ნაის მტკიცებით, თუ სახელმწიფოს დადებითი იმიჯის შექმნაზე კულტურული, სამეცნიერო, დიპლომატიური და საგანმანათლებლო ფაქტორები მუშაობენ,

აუცილებლობას არ წარმოადგენს სამხედრო და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება მიზნის მისაღწევად. უნდა აღინიშნოს, რომ „რბილი ძალა“ არა მხოლოდ სახელმწიფოს დონეზე, არამედ შიდა საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც ხშირად გამოიყენება გარკვეული ჯგუფის აზრთა სამართვად ან სრულიად ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური ფონის შესაქმნელად. „რბილი ძალა“ ხაზს უსვამს არა ომის შესაძლებლობას, არამედ თანამშრომლობას; არა სამხედრო ექსპანსიას, არამედ იდეების შეჯერებას და მათ იმპლემენტაციას. იმგვარი სახელმწიფოებისთვის, სადაც მთავარი ადამიანთა უფლებები და დემოკრატიული ფასეულობების გამოვლენა და დაცვაა, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გზით დასახული მიზნის მიღწევა.

სახელმწიფოებრივ დონეზე „რბილი ძალის“ გამოვლინება მეტ რესურსს მოითხოვს. თუმცა, ფაქტია უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ცდილობს სწორედ ამ მეთოდით, სასურველი ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო პლათფორმაზე და არა მარტო. მაგალითად, ჩინეთმა ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის კუთხით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ასობით „კონფუცის ინსტიტუტი“ დააარსა. ჩინეთში, კულტურა აღიქმება როგორც ძალაუფლების მთავარი რესურსი. სწორედ კულტურული მემკვიდრეობის გაცვლის ხარჯზე ცდილობს ჩინეთი დაარწმუნოს მსოფლიო, რომ ის არის ცივილიზებული, საიმედო სახელმწიფო.

ყურადსაღებია, რომ თანდათან შეუძლებელი ხდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარება. ამიტომ წინ არის წამოწეული „რბილი ძალის“ განვითარების თეორიული, პოლიტიკური გააზრება და მისი ფინანსურად უზრუნველყოფის საკითხები. „რბილი ძალის“ მეშვეობით მიზნის მიღწევის წარმატება დამოკიდებულია აქტორის რეპუტაციასა და რესურსებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „რბილი ძალა“ ხშირად დაკავშირებულია გლობალიზაციასთან. გლობალიზაცია კი თავის მხრივ ის უხილავი ჯაჭვია, რაც მრა-

ვალი ქვეყნის დაკავშირებას ერთმანეთთან გაცილებით მარტივს ხდის. ბუნებრივია, ბევრად რთული იქნებოდა უპერატესობების წარმოჩენა თუნდაც ტექნოლოგიური და ინფორმაციული განვითარების გარეშე.

უმეტესად სახელმწიფოები, რომლებსაც მდგრადი და ძლიერი ეკონომიკა გააჩნიათ, აიძულებენ ეკონომიკურად სუსტ სახელმწიფოებს გახდნენ მათზე დამოკიდებულნი. თუმცა ისინი ასევე ხშირად იყენებენ „რბილი ძალის" სხვადასხვა მექანიზმებს. ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი სახელმწიფოა, რომელიც საკმაოდ აქტიურად იყენებს „რბილი ძალის" მექანიზმებს თუნდაც საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. თუმცა რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის ასე არ იყო და ამერიკის შეერთებული შტატებიც განვითარების გარკვეულ ეტაპზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი არ არის მსოფლიოს ომით დაამახსოვრო თავი და, პირიქით, შესაძლებელია იმიჯის ამაღლება იმ დონეზე, რომ სახელმწიფოებს თავად მოუნდეთ შენთან თანამშრომლობა.

მე-20 საუკუნეში „ამერიკული კულტურა" იყო კულტურული ექსპორტი მსოფლიოში და შთაგონება იმისა, რომ ამერიკაში ყველა ოცნება ხდება. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, ამერიკამ პირველად დაიწყო კულტურული ექსპორტი საზღვარგარეთ ფილმების და მუსიკის საშუალებით. ჩარლი ჩაპლინი და „ვესტერნები", ჯაზი მილიონობით ქვეყანას გააცნო და შეაყვარა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ეს პროცესი გაცილებით ინტენსიური გახდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიტანა სიმშვიდე მსოფლიოში. ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ დაასრულა ცივი ომი და ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის დაშლას. ამგვარად, ამერიკული პოპულარული კულტურა გლობალური გახდა. მაგალითისათვის, უნდა ვახსენოთ ინგლისური ენის პოპულარიზაცია. განსაკუთრებით ძლიერია ამერიკის კულტურული გავლენა ფილმების საშუალებით. მხოლოდ სიტყვა „ჰოლივუდი" მოგვითხრობს კინოვარსკვლავებისა და ოსკარის ღამეების შესახებ. ფილმებისა და სატელევიზიო გადაცემების მხრივ, ამერი-

კა ითვლება ნომერ პირველ ექსპორტიორ ქვეყნად. სრულიად არ იქნება გაზვიადება, თუ ვიტყვით, რომ ამერიკულმა პოპულარულმა მუსიკამ დაიპყრო მსოფლიო მე-20 საუკუნეში. ჯაზი, როკ ენდ როლი, ჰიპ-ჰოპი და სხვა, მუსიკის ყველა ამ ფორმამ მთელი მსოფლიო მოიცვა. მეორე მსოფლიო ომის კატასტროფებმა მხატვრები ატლანტის ოკეანის მიღმა გადაისროლა, შეერთებული შტატები თანამედროვე ხელოვნების ცენტრად იქცა. ნიუ იორკი პარიზს დაუპირისპირდა, როგორც ახალი მხატვრებისა და ხელოვნების ფორმების კერა [7].

ამერიკული „რბილი ძალის" გაზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აკადემიური და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეცნიერების ვიზიტებს ამერიკელები უფრთხოდნენ, მოგვიანებით სწორედ ამ ადამიანებმა შეუწყვეს ხელი საბჭოთა კავშირის დანგრევას.

„რბილი ძალის" მექანიზმების უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ აღიარებული და დაცული იქნას კულტურული მემკვიდრეობა და შემდგომ ეს მემკვიდრეობა გამოყენებული იქნას საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, მიმზიდველობის შესაქმნელად, იმიჯის ასამაღლებლად, კონკრეტული საგარეო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. როდესაც ვსაუბრობთ, კულტურაზე და კულტურის როლზე, როგორც „რბილი ძალის" შემადგენელ კომპონენტზე აუცილებლად უნდა მოვიყვანოთ კონკრეტულ სახელმწიფოებზე მორგებული მაგალითები, რათა აღქმა კულტურის მნიშვნელობისა გაიზარდოს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საკმაოდ დიდი კულტურული რესურსი აქვს იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენოს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკა ყოველთვის არ სახელდებოდა როგორც ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მიმზიდველობის მკვეთრი შემცირება მოხდა 2003 წელს ერაყის ომის შემდეგ, როდესაც გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა ხალხის უარყოფითი რეაგირება ჯ. ბუშის ადმინისტრაციის პოლიტი-

კაზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით დღევანდელ მსოფლიო წესრიგში ამერიკა გახლავთ სწორედ ის ქვეყანა, რომელიც აქტიურად მუშაობს „რბილი ძალის“ მექანიზმებისა და მეთოდების შემუშავებასა და განვითარებაში.

უნდა ვახსენოთ ასევე კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც დღესდღეობით განსხვავებულ საერთაშორისო პოლიტიკას ატარებს და რომელმაც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღიარა „რბილი ძალის“ ფენომენის არებობა და აქტიურად დაიწყო იმ მიმართულებების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი მიზნების მიღწევაში. ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირის რბილი ძალის რესურსები მიმართული იყო იმისკენ, რომ დაერწმუნებინა მსოფლიო კომუნისტური სისტემის მიმზიდველობაში. საკმაოდ ბევრი ფულადი რესურსი იხარჯებოდა სახალხო დიპლომატიის, რადიო-მაუწყებლობების, კულტურის განვითარებაზე. დიდი თანხა იხარჯებოდა ცეკვის ანსამბლებზე, სახელმწიფო თეატრებზე, საბალეტო დასებზე, სპორტსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე. დამერწმუნებით, რომ არც რუსული კულტურული მემკვიდრეობა ჩამოუვარდება ამერიკულს. თუმცა აქ განსხვავება ვფიქრობ, მაინც ისტორიაშია. რუსეთისათვის, ძირითადად, მიზნის მიღწევის საშუალებას ყოველთვის ხისტი სამხედრო ძალა წარმოადგენდა. ამიტომ რა თქმა უნდა, „რბილი ძალის“ ფენომენი რუსეთისთვის საკმაოდ ახალია და ჯერ კიდევ გარკვევის პროცესშია, თუ რა რესურსები გააჩნია მას და როგორ მართოს ეს რესურსები სწორად.

2012 წლიდან „რბილი ძალის“ გამოყენება აქტუალური გახდა რუსეთის პოლიტიკაში. პუტინის წინასაარჩევნო სტატიაში „რუსეთი და ცვალებადი მსოფლიო“, რომელიც 2012 წლის თებერვალში გამოქვეყნდა, მკაფიოდ არის დაფიქსირებული ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი გავლენის სფეროების გასაფართოვებლად იყენებს „რბილ ძალას“. ეს ყველაფერი კი, როგორც სტატიაშია ნახსენები, ემსახურება ტერიტორიების

გაკონტროლებას, პოლიტიკურ დამონებას და სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ექსპლუატაციას. პუტინის თქმით, „რბილი ძალის“ მექანიზმების მთავარი მიზნებია ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის პროვოცირება, მასების მანიპულაცია, სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკაში ჩარევა და ა. შ. [2].

2012 წლის ივლისში გამოსვლის დროს კი უკვე რუსეთის პრეზიდენტმა, პუტინმა განსაზღვრა „რბილი ძალა“ არა მხოლოდ, როგორც უარყოფითი ფენომენი, არამედ ისაუბრა მის დადებით გამოვლინებებზე და აღნიშნა, რომ „რბილი ძალის“ მეთოდები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საკუთარი ინტერესების გასატარებლად. მან ასევე ყურადღება გაამახვილა, რუსეთის დიპლომატიური კორპუსის აქტივობებსა და ჩართულობაზე. 2013 წელს ტერმინი „რბილი ძალა“ გამოჩნდა დოქტრინის ახალ ვერსიაში და განისაზღვრა როგორც „საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება საინფორმაციო, კულტურული, და ტრადიციული დიპლომატიის ალტერნატიული საშუალებებით“ [3, 36].

ცხადია, რუსეთისათვის გავლენის მოხდენის უმთავრესი არეალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებია. რუსეთის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი კი სწორედ რელიგიაა. რელიგია, რომელიც კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და რომლის მიმართაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა ფრიად სენსიტიურია, განსაკუთრებით კი საქართველო. რუსეთის მხრიდან მუდმივად ხდება აპელირება იმ ფაქტზე, რომ ევროპასთან ინტეგრაცია „გახრწნის“ ქართველ ერს და რომ ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც იზიარებს ოჯახის სიწმინდის ფასეულობებსა და კულტს არის რუსეთი. მუდმივად ხდება იმ აზრის დაფიქსირება, რომ ლიბერალური დასავლეთი ებრძვის ქართულ მართლმადიდებელ რწმენას, ტრადიციებს და კულტურულ ფასეულობებს. ეს მითი არის ანტიდასავლური ძალების პროპაგანდის მთავარი არგუმენტი, რომელსაც ერთნაირი ინტენსივობითა და წარმატებით მიმართავენ როგორც პოლიტიკოსები, ისე სასულიერო პირები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები,

რომელთაც აქტიურ პროპაგანდას უწევს ანტიდასავლური პრორუსული მედია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ მითის განვრცობით საქართველოს ეკლესიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები გამოირჩევიან. დანამდვილებით რთულია იმის თქმა, კლერიკალების რა ნაწილს შეადგენენ ისინი, არიან უმრავლესობაში თუ უმცირესობაში, თუმცა საგულისხმოა, რომ ბევრი მაღალი რანგის სასულიერო პირები ქადაგებებში ავითარებენ თეზისს რუსეთთან ერთობისა და დასავლეთთან მსოფლმხედველური და მორალური შეუთავსებლობის შესახებ. რელიგია და კულტურული მეხსიერება რუსეთის რბილი ძალის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია. მართლმადიდებლური ქრისტიანული ღირებულებები საკმაოდ მნიშვნელოვანია მოსახლეობის უმთავრესი ნაწილისათვის, შესაბამისად ხშირად სწორედ რელიგია, კულტურული და ისტორიული ასპექტები განსაზღვრავს მოსახლეობის არჩევანს მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში.

საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია, რომლითაც ასე თუ ისე ხელმძღვანელობს რუსეთი, მიმართულია ამ სახელმწიფოს პრესტიჟისა და როლის გაზრდისკენ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ეს უკანასკნელი კი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გახდა მრავალპოლუსიანი, სადაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ღირებულებათა სისტემას, განსაკუთრებით კი საინფორმაციო და „რბილი ძალის“ კონტექსტში. თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი რუსეთის მხრიდან ისეთ სახელმწიფოებთან როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი გვაფიქრებინებს რომ რუსეთს გააზრებული აქვს იმ შედარებით ახალი ფენომენის მნიშვნელობა, რასაც „რბილი ძალა“ ჰქვია და ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ის რესურსები, რაც მას გააჩნია ამ მიმართულებით. რუსეთმა რიგი ნაბიჯები განახორციელა, რათა მოეხდინა პოსტსაბჭოთა სივრცეში უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის განვითარება. შეიქმნა უნივერსიტეტთა ქსელი დსთ-სა (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) და შთო-ში (შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია), განვითარდა

სტუდენტური გაცვლითი პროგრამები, შეიქმნა რუსეთის სასწავლო დაწესებულებების ფილიალები. მაგალითად, აზერბაიჯანში რუსულმა გავლენამ ბევრს მიაღწია განათლების სისტემაში – როგორც სკოლებში, ისე უნივერსიტეტებში. მართალია, აზერბაიჯანის რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეების რიცხვმა განახევრებულზე ნაკლები შეადგინა, მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში რუსულ ენაზე განათლების მიღების სურვილს ახალი ბიძგი მიეცა. მიუხედავად ზემო თქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ საგანმანათლებლო სისტემას უჭირს დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებთან კონკურენცია. რუსეთში სამაგისტრო პროგრამები განიცდიან მუდმივ ცვლილებას და, ძირითადად, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული განათლების ხარისხი. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას, ხშირად ეს ორი ერთიან კულტურულ სივრცედ აღიქმება, თუმცა რეალურად განსხვავება საკმაოდ დიდია. განსხვავებულია ამერიკის შეერთებული შტატების „რბილი ძალის" ზეგავლენა ევროპაში და ამ უკანასკნელის გავლენა მსოფლიოში. ჯერ კიდევ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოხდა ამერიკის მხრიდან „რბილი ძალისმიერი" მეთოდების გამოყენება, რაც გამოიხატა მარშალის გეგმით. მარშალის გეგმის ფარგლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მილიარდობით დოლარი დახარჯა ომისგან განადგურებული ევროპული სახელმწიფოების აღორძინებისა და განვითარებისათვის. გეგმა ასევე მოიცავდა ჰუმანიტარულ დახმარებას საკვებითა და სამედიცინო რესურსებით, საკმაოდ აქტიურად მუშაობდა აშშ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელების განსავითარებლად, გაიცა დიდი რაოდენობით ფულადი გრანტები. ამერიკის „რბილი ძალის" მექანიზმები, რომლებიც ევროპაში აქტიურად მუშაობს არის კულტურული ღირებულებების გაზიარება (მაგ. დემოკრატია), ამერიკის მასკულტურის გავლენა ასევე მკვეთრად იგრძნობა ევროპულ სახელმწიფოებში (მაგ. ინვდივიდუალიზმი).

რაც შეეხება თავის მხრივ ევროპას, „რბილი ძალის" მექა-

ნიზმებად აღიქმება კულტურა და ხელოვნება, პოლიტიკური ღირებულებები, „საყოველთაო კეთილდღეობაზე დამყარებული ეკონომიკური მოდელების არსებობა“, მშვიდობის შენარჩუნებისთვის წარმოებულ პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულობა. „რბილი ძალის“ საუკეთესო მაგალითი თავად ევროკავშირია, რომელმაც შექმნის დღიდან თავი დაიმკვიდრა როგორც წარმატებული ეკონომიკური მოდელისა და დემოკრატიული ღირებულებების გამავრცელებელმა ორგანიზაციამ მსოფლიოში [4]. ევროკავშირის „რბილი ძალის“ საზომი იყო ის, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ძალას, რომელიც თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ეხმარებოდა პრობლემების გადაჭრაში ისეთი მეთოდებით, როგორიცაა, მაგალითად, დიპლომატია. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპული პოლიტიკა სიკვდილით დასჯასთან მიმართებაში, ჰომოსექსუალების უფლებებთან მიმართებაში, იარაღის კონტროლზე ბევრისთვის მეტად მისაღებია, ვიდრე ამერიკის პოლიტიკა ზემო აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით.

საკმაოდ საინტერესოა ჩინეთის გააქტიურება საერთაშორისო ასპარეზზე „რბილი ძალის“ სხვადასხვა მექანიზმებით. ჩინეთი მკვეთრად ზრდის აფრიკის კონტინენტზე სავაჭრო კავშირებს. როგორც მოგეხსენებათ, აფრიკა საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ეს არის წიაღისეულით უმდიდრესი რეგიონი. რკინა, ალმასი, ოქრო, სპილენძი, ნავთობი და ბუნებრივი აირი – ეს არასრული ჩამონათვალია იმ სიმდიდრისა რასაც ეს კონტინენტი ფლობს. რა თქმა უნდა, არსებობს დაინტერესება და სურვილი აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოების მხრიდან ამ ტერიტორიაზე გაზარდონ გავლენა და ამ მხრივ იხარჯება საკმაოდ დიდი რესურსები, თუმცა გავითვალისწინებთ რა კოლონიალურ წარსულს, აფრიკული სახელმწიფოები მაინც სკეპტიკურად არიან განწყობილნი. ჩინეთი საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, თუმცა ეს რესურსებიც ამოწურვადია და იგი საჭიროებს ალტერნატივას. ჩინეთის „რბილი ძალის“ მეთოდები საკმაოდ ჭკვიანურად მუშაობს ამ მიმართულებით და სხვადას-

ხვა პროგრამების წყალობით ცდილობს სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებას. ამ სახელმწიფოს არ აკლია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, თუ კულტურული რესურსები და მას უცილობლად აქვს პოტენციალი სერიოზული კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოს როგორც „ხისტი", ასევე „რბილი ძალის" მეთოდების გამოყენებით.

ვთანხმდებით, იმაზე რომ კულტურა „რბილი ძალის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია. კულტურა საკმაოდ რთული ცნებაა და შეუძლებელია კულტურის ფენომენის ერთი განმარტებით განსაზღვრა, ისევე როგორც კულტურის ყოველი ელემენტის გავლენის განსაზღვრა. თუკი ადრე კულტურა განიხილებოდა როგორც ვიწრო ფენომენი, ახლა მას სრულიად ახალი დატვირთვა მიენიჭა და იგი მოიაზრება არა მხოლოდ ცალკე მდგომ ფენომენად, არამედ როგორც მექანიზმად, რომელიც განაპირობებს სხვადასხვა სახელმწიფოების ქცევას და ხშირად ხდება კიდეც თავად იარაღი გავლენის მოსახდენად და მიზნის მისაღწევად. კულტურას საკმაოდ ბევრი განზომილება აქვს: ლიტერატურა, განათლება, ხელოვნება და ა. შ. ნაის აზრით, სწორედ განათლება წარმოადგენს „რბილი ძალის" ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ასი-ათასობით სტუდენტი მიემგზავრება სხვადასხვა სასწავლო პროგრამებით. იქ ჩასულებს კი საშუალება აქვთ ეზიარონ იმ მასკულტურას, რომელზეც მხოლოდ ფილმებიდან სმენიათ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერებასა და შეხედულებებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის როლი საკმაოდ იზრდება საერთაშორისო ურთიერთობებში. გამოსაყოფია მაღალი კულტურის და პოპულარული კულტურის გამოვლინებანი (ლიტერატურა, ხელოვნება განათლება, კინო და ა. შ.) „რბილი ძალის" სახით. უკვე აღვნიშნეთ, თუ რა როლი ითამაშა ამერიკის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაში კულტურამ. გლობალიზაციის პირობებში კულტურული ღირებულებების გაზიარება საკმაოდ

მარტივი ხდება. ეს პროცესი თავისთავად უამრავი დადებითი ასპექტის წარმოშობასთან ერთად, ქმნის უარყოფით ფონსაც, რაც ხშირად სწორედ კულტურული ღირებულებების შეუთავსებლობით ხასიათდება და რაც გარკვეულწილად კონფლიქტების შექმნისა და ესკალაციის მიზეზიც ხდება.

კულტურული დიპლომატია არის ის ცნება, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად მუშობს გლობალიზაციის პირობებში და თავის მხრივ გულისხმობს ქვეყნის კულტურისა თუ სხვა რესურსების გამოყენებას სხვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის და გარკვეული პოლიტიკის წარმოებისას. იგი განისაზღვრება როგორც იდეების, ინფორმაციების, ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტების გაცვლის პროცესი ერებსა და ხალხებში, ურთიერთგაგების განმტკიცების მიზნით. კულტურა, როგორც ცნობილია, მოიცავს არამხოლოდ მატერიალურ, ინტელექტუალურ, სულიერ თვისებებსა და ღირებულებებს, არამედ კონკრეტული საზოგადოებისა თუ სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს, ღირებულებათა სისტემებს.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით ცივი ომის შემდგომ პერიოდში ძირეულად მოხდა მოვლენებისა თუ ღირებულებების გადაფასება და სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ხისტი ძალისმიერი მეთოდების, სრულიად თუ არა გარკვეულწილად უგულებელყოფა და „რბილი ძალის“ მექანიზმების შემუშავება და განვითარება. პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ საკუთარი მიმზიდველობის წარმოჩენით სხვა სახელმწიფოებზე გავლენის მოხდენის მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ და ეს გავლენა გაცილებით დიდ ხანს გრძელდებოდა, ვიდრე სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ომის წარმოების დროს. „რბილი ძალა“ ერთგვარი გონებრივი ძალაა და ის წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული ძალაუფლების მნიშვნელოვან კომპონენტს. კულტურის ძირითადი საფუძველია ღირებულებები. რაც შეეხება კულტურის შინაარსს, იგი მოიცავს ისტორიულ მასალებსა და სულიერ სიმდიდრეს, რომლებიც შეიქმნა კაცობრიობის არსებობის ისტორიაში. კულტურა მოიაზრება,

როგორც სოციალური იდეოლოგია, რომელიც მოიცავს აზრებს, ღირებულებებს, რელიგიას და ა. შ. ამჟამინდელ სახელმწიფო ძალაუფლებასთან დაკავშირებული გაზრდილი კონკურენცია მოიცავს: ეკონომიკურ, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ, თავდაცვით და კულტურულ ძალას. როგორც ჯოზეფ ნაი აღნიშნავს, „რბილი ძალა" შეიძლება შეფასდეს ქვეყნის ერთიანობის, მისი გლობალური კულტურული პოპულარობისა და საერთაშორისო ინსტიტუტების როლის საფუძველზე. კულტურა, როგორც „რბილი" ძალა, ეროვნული ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ აირჩია საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისა და გავლენის გაძლიერების წარმოჩენისათვის.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იაპონიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ნაკასონემ შემოგვთავაზა სტრატეგიული გეგმა „კულტურულად განვითარებული ქვეყნის შექმნის" შესახებ. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი გვთავაზობდა კულტურული ევროპის მიღწევას და ევროპული კულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა „კულტურული გაფართოების" სტრატეგიის განხორციელება დაიწყო. თამამად შეგვიძლია კულტურა მივიჩნიოთ, როგორც ერთგვარი გზამკვლევი, კომპასი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. განსხვავებულ სახელმწიფოებს აქვთ განსხვავებული სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც სათავეს იღებს სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეულ გამოცდილებაში და რომელზეც გარკვეულწილად მოქმედებს სახელმწიფოსა და მისი პოლიტიკური ლიდერების ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული მახასიათებლები.

ცხადია, კულტურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია „რბილი ძალისა" და ასევე ნათელია, კულტურის როლის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობებში. გარდა იმისა, რომ კულტურამ შეიძლება განსაზღვროს კონკრეტული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებები. იგი ასევე შეიძლება გახდეს მიზეზი კონფლიქტებისა. გავიხსენოთ თუნდაც

სამუელ ჰანთინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ მომავალი ომები იქნება არა ქვეყნებს, არამედ კულტურებს შორის. იგი ამტკიცებდა, რომ 21-ე საუკუნის განმსაზღვრელი იქნება სწორედ ცივილიზაციათა შეჯახება, კულტურათაშორისი ომი. ჰანთინგტონის აზრით, სწორედ ცივილიზაციათა კონფლიქტი ჩაანაცვლებს კონფლიქტებს ეროვნულ სახელმწიფოებსა და იდეოლოგიებს შორის, რომლებიც მე-19-20 საუკუნეების განმავლობაში დომინირებდა.

გლობალიზაციის პირობებში კი ცივილიზაციათა კონფლიქტი მეტად შესაძლებელი ხდება. განვიხილოთ თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი. როგორც ჰანთინგტონი მიიჩნევს, სხვადასხვა იდეების პროპაგანდა დასავლეთის მხრიდან, სხვა ცივილიზაციებში იწვევს რეაქციას „დემოკრატიული იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ. ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატების სურვილი შეინარჩუნოს სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური უპერატესობა ახალ პრობლემებს ქმნის განსხვავებულ კულტურებში. დემოკრატიზაცია უნდა მოხდეს დასავლური მოდელით, ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული, ისევე როგორც ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, იწვევს აგრესიას, კონფლიქტებს განსხვავებული ცივილიზაციების, განსხვავებული კულტურის მქონე საზოგადოებაში [5]. რონალდ ინგლეჰარტი და პიპა ნორისი ამტკიცებენ, რომ ცივილიზაციათა ნამდვილი შეჯახება, იქნება მუსლიმანურ სამყაროსა და დასავლეთს შორის. ეს უკანასკნელი კი გამოწვეული იქნება მუსლიმთა მიერ დასავლური, ლიბერალური სექსუალური ღირებულებების უარაოფით და არა პოლიტიკური იდეოლოგიის სხვაობით. ზემო აღნიშნული კი, თავის მხრივ, კულტურის, როგორც „რბილი ძალის“ მექანიზმის აქტიურად მუშაობის შედეგი იქნება[9].

გლობალიზაციის პროცესები განაპირობებს გეოპოლიტიკური სივრცის რეფორმირებას, ახალი იერარქიული სისტემის, ახალი გეოპოლიტიკური პოლუსების ჩამოყალიბებას. შე-

საბამისად გლობალიზაციის მიერ გამოწვეული პროცესები, თავის მხრივ, საჭიროებს ახალი რეალობის შესაბამისი საგარეო პოლიტიკის ფორმირებას, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და ეროვნული ინტერესების შესასრულებლად ახალი ინსტრუმენტების, მექანიზმებისა და მეთოდების გამოყენებას. „რბილი ძალა“, თავის მხრივ, უამრავ შესაძლებლობებს იძლევა იმ სახელმწიფოებისთვისაც კი, რომელთაც ტრადიციული გავლენის რესურსების შეზღუდული სპექტრი აქვთ. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს გავლენა იმ გეოპოლიტიკურ არეალში, სადაც ის მოღვაწეობს ან თუნდაც საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესებში.

ჯონ ლენკოვსკი, მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ჯოზეფ ნაის „რბილი ძალის“ დეფინიციაზე დაყრდნობით აყალიბებს „კულტურული დიპლომატიის“ კონცეფციას. კულტურული დიპლომატია წარმოადგენს მოქმედებათა კურსს, რომელიც ემყარება და იყენებს იდეების, ღირებულებების, ტრადიციების და კულტურისა ან იდენტობის სხვა ასპექტების გაცვლას ურთიერთობების გაძლიერების, ეროვნული ინტერესების ხელშეწყობის მიზნით. ამ ფენომენის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კულტურული დიპლომატია წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების ასამაღლებელ სტრატეგიულ და ეფექტურ საშუალებას. ამიტომ კულტურული დიპლომატია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ელემენტი [6, 164]. ზემო აღნიშნული ნიშნავს, რომ საკუთარი ქვეყნის კულტურაში, საგანმანათლებლო პროცესებში ინვესტირება ხელს უწყობს სხვადასხვა სახელმწიფოებთან ნდობის მოპოვებას, რაც თავის მხრივ შეიძლება გამოიხატოს დიპლომატიურ, ფინანსურ ან თუნდაც სამხედრო მხარდაჭერაში. კულტურული დიპლომატია არის ის ცნება, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად მუშაობს გლობალიზაციის პირობებში და თავის მხრივ გულისხმობს ქვეყნის კულტურისა თუ სხვა რესურსების გამოყენებას სხვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის და

გარკვეული პოლიტიკის წარმოებისას. იგი განისაზღვრება როგორც იდეების, ინფორმაციების, ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტების გაცვლის პროცესი ერებსა და ხალხებში, ურთიერთგაგების განმტკიცების მიზნით და შეიძლება მოიცავდეს ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა კულტურული სუბიექტების დახმარება ეროვნული კულტურისა და კულტურული იდენტობის გავრცელებაში, ეროვნული ენის გავრცელების ხელშეწყობა, მიმღებ სახელმწიფოში მყოფ ემიგრანტ თემებთან კონტაქტების დამყარება და შენარჩუნება [8].

დღეს მსოფლიოში ძალზე ძლიერი კონკურენცია მიმდინარეობს. კულტურა, რომელიც წარმოადგენს „რბილი ძალის" ერთ-ერთ ელემენტს, დადებით და უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნული ძალაუფლების განვითარებაზე. მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე იზრდება. ბევრ თანამედროვე საერთაშორისო საკითხს ღრმა კულტურული მიზეზები აქვს და მსოფლიოს ქვეყნები გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ „რბილი ძალის" გამოყენებას ეროვნული ინტერესების სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ ხისტი ძალა კვლავ ინტენსიურად გამოიყენება რიგ შემთხვევებში სახელმწიფოთა ურთიერთობებში, დღეს საერთაშორისო პოლიტიკაში „რბილი ძალა" სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მაშინ როდესაც ქვეყნის კულტურა მოიცავს საყოველთაო ღირებულებებს და „მისი პოლიტიკა ხელს უწყობს ღირებულებებს და ინტერესებს, რასაც სხვები იზიარებენ, იზრდება სასურველი შედეგების მიღების შესაძლებლობა" [7].

„რბილი ძალის" მექანიზმები კონკრეტული მიზნის მისაღწევად მუშაობენ. დღევანდელი მსოფლიო ხდება მრავალპოლუსიანი. საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ რუსეთსა და ამერიკას აღარ ვხვდებით. უამრავი სახელმწიფო, როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთი, კორეა აქტიურად ავითარებს „რბილი ძალის" მექანიზმებს და ვფიქრობ, საკმაოდ დიდი წარმატებითაც. ისეთ სახელმწიფოებში, როგორიც მაგალითად საქართველოა საკმაოდ

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ისტორიას, ტრადიციებს. შესაბამისად, აუცილებელია, გამოიკვეთოს „რბილი ძალის“ ის მექანიზმები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ამ სახელმწიფოში. ზემო აღნიშნული საკმაოდ მნიშვნელოვანია არამარტო შიდა განვითარების, ისე რეგიონული და სამეზობლო პოლიტიკის თვალსაზრისითაც. „რბილი ძალის“ არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს ბაზას პოლიტიკური პროცესების წარმართვისთვის და სწორი სტრატეგიების განსაზღვრისათვის. „რბილი ძალა“, რომელიც კულტურული ძალაუფლების გარშემო ტრიალებს, ახლაც და მომავალშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების გარდაქმნასა და გლობალურ კონფიგურაციაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Joseph S. Nye, JR., Soft Power, The Means to Success in World Politics, Public Affairs, NY., 2004.

2. Чихарев И. А., Столетов О. В. «Мягкая сила» и «разумная сила» в современной мировой политической динамике, Москва, 2015.

3. Указ Президента Российской Федерации от 30. 11. 2016 № 640 „Об утверждении Концепции внешней политики Российской Федерации“, 2016.

4. გ. აბდალაძე, რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, თბილისი, 2020.

5. Huntington, Samuel, the Clash of Civilizations and the Remaking of World Order, 1997.

6. Lenczowski, John, Full Spectrum Diplomacy and Grand Policy, Lanham: Lexington Books, 2011.

7. გ. ლილუაშვილი, რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, თბილისი, 2018.

8. Bound K, Briggs R, Holden J, Jones S, Cultural Diplomacy, 2007.

9. Inglehart, Ronald; Pippa Norris, The True Clash of Civilizations, Foreign Policy, 2003, #135.

Natia Mamaladze

Georgian Technical University, Doctoral student of the Faculty of Law and International Relations

Culture as an Element of Soft Power

Summary

Soft power has become a term that has been widely used in modern international relations. This is a relatively new phenomenon that has gained popularity. Although, we can still say that this new concept has not been either fully studied, or even acknowledged by certain scholars, organizations or even higher authorities.

As Josef Nye notes „soft power" is often called „attractive power". Its attractiveness is due to different factors and characteristics. Most importantly, this is the match of systems of values. The „soft power" can be obtained through mechanisms such as diplomacy, trade, tourism, media, exchange of educational and scientific programs, assistance in disasters, etc. „Soft Power" consists of three elements: Culture, Political values and Foreign Policy.

Culture itself is quite a complex concept and it is impossible to define the term with one definition, as well as to determine the influence of each element of culture. Culture can no longer be perceived as a separate concept, but it has now become the mechanism to influence and achieve goals.

In the 20th century, American Culture became a cultural export to the world and an inspiration that everything is achievable in America. Films, music, sports - every segment of Culture has been working to promote the image of the United States of America as a strong, outstanding country, that supports individualism and promotes different values, like equality. However, the USA is not the only country nowadays in modern international relations that uses culture as a weapon to increase its popularity worldwide. For European states, the mechanisms of the „Soft

Power" are perceived as culture and art, political values, the existence of economic models based on universal welfare. The best example of „Soft Power" is the European Union itself, which has been established as a successful economic model and an organization that promotes democratic values around the world and assist countries to develop and prosper. China has also started using its culture to gain popularity in the world. There were established schools for learning the Chinese language, also different educational programs have been financed to promote the student flow to the country, etc.

The processes of globalization lead to the reform of the geopolitical space, the formation of a new hierarchical system, new geopolitical poles. Consequently, the processes caused by globalization, in turn, require the formation of a foreign policy in line with the new reality, the use of new tools, mechanisms and methods to achieve strategic goals and pursue national interests. „Soft Power" offers a lot of opportunities even for states that have a limited range of traditional resources for influence. Any state can influence the geopolitical area in which it operates or even the ongoing processes in the international arena.

Culture, as a „Soft Power", is an important part of national power and quite many countries have chosen to enhance international competitiveness and influence through cultural development. Although hard power is still used extensively in state relations, „Soft Power" that revolves around cultural power will place an important role now and in the future in transforming international relations and global configuration.